განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო პროგრამა„სამართალი“
სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

29.05.2019

26.06.2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის მაგისტრი 06
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული პროგრამა იმყოფება რეაკრედიტაციის რეჟიმში

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვახტანგ ჟვანია - სამართლის დოქტორანტი; შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი, მოწვეული ლექტორი.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მახარობლიშვილი - სამართლის დოქტორი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თათია უბერი -კავკასიის უნივერსიტეტის, სამართლის სკოლის დოქტორანტი; მოწვეული ლექტორი

	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტსა და კავკასიის უნივერსიტეტის სამართლისა და ტურიზმის სკოლაში.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სამართლის სამაგისტრო პროგრამა მოქმედებს 2007 წლიდან.

სამაგისტრო პროგრამა შედგება 120 კრედიტისგან: სასწავლო კომპონენტი მოიცავს 60 კრედიტს: მათ შორის 43 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსებია სისხლის, კერძო, საჯარო და საერთაშორისო სამართლის მიმართულებით. პრაქტიკულ კომპონენტს ეთმობა -30 კრედიტი, 18 ან 6 კრედიტიანი არჩევითი კურსით. კვლევითი კომპონენტი მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას და მის საჯარო დაცვას- 30 კრედიტი.

უნივერსიტეტის განსაკუთრებული მისიიდან გამომდინარე, სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების და მასთან დაკავშირებული სადავო საკითხების ანალიზის უნარების მქონე, დავების მშვიდობიანი გადაწყვეტისთვის შესაბამისი ცოდნით აღჭურვილი კადრების მომზადებაზე.

სტუდენტისთვის ხელმისაწვდომია იურიდიული პრაქტიკის განმახორციელებელი იურიდიული კლინიკა, დამსაქმებლებთან, საჯარო და კერძო ორგანიზაციებთან გაფორმებული მემურანდუმების და ხელშეკრულებების საფუძველზე შექმნილი იურიდიული კლინიკები.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩართულია ერასმუსი + პროქტებში, პროექტების ფარგლებში უნივერსიტეტს საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ექსპერტების ვიზიტი შედგა 2019 წლის 29 მაისს. ექსპერტები შეხვდნენ სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, ფაკულტეტის დეკანს, ადმინისტრაციულ პერსონალს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, პროგრამის ხელმძღვანელებს და პროგრამის თვიშეფასების ჯგუფს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებს, დამსაქმებლებს, სტუდენტებს და

კურსდამთავრებულებს. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტებმა დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და გაეცნენ სამაგისტრო ნაშრომებს.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამამ აკრედიტაციის ექსპერტების ვიზიტის შემდეგ განიცადა ნიშანდობლივი ცვლილებები, გათვალისწინებულ იქნეა რეკომენდაციები, პროგრამა ახლებურადჩამოყალიბდა, სტუდენტებს მიეცათ კვლევის განხორციელების რეალური შესაძლებლობა, შეიცვალა აკადემიური და მოწვეული პერსონალი. დადებითი ცვლილებები ასახულია წარმოდგენილ დასკვნაში, ასევე მითითებულია ის ძირითადი რეკომენდაციები და რჩევები, რაც დაეხმარება უნივერსიტეტს პროგრამა გახადოს კიდევ უფრო სრულყოფილი, აღნიშნული კი მისცემს სტუდენტს შესაძლებლობას ჩამოყალიბდეს პროფესიონალად.

- **რეკომენდაციები**

აუცილებელია მოხდეს ლისაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის გადამუშავება, დაემატოს უახლესი მასალა, რაც სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას მიიღოს და გაიღრმავოს ცოდნა. ასევე ლიტერატურის დამატების შემთხვევაში აუცილებელია შესაბამისი სახელმძღვანელოებით ბიბლიოთეკის მომარაგება.

სამართლის სამაგისტრო პროგრამამ, ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტს კონკრეტული დავალებების შესრულებით გამოიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის დამუშავებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები; წყაროების მოძიებით, ლიტერატურის გაანალიზებით, დისკუსიების ფარგლებში იქნება ეს, პრობლემის სწორად განსაზღვრა, სათაურის შერჩევა, ნაშრომის შინაარსი, აკადემიური ნაწილი თუ სხვა. ასევე წაახალისოს და ხელი შეუწყოს მაგისტრანტებს, სამეცნიერო კვლევით პროექტებში მიიღონ მონაწილეობა. ამასთან მნიშვნელოვანია დაიგეგმოს, პრობლემური საკითხების განხილვისთვის შესაბამისი აქტივობები უფლებამოსილ ორგანოებთან, კომპეტენტურ პირებთან, კანონმდებლობაში არსებულ ნაკლოვანებებსა თუ საჭიროებებზე, რისი საშუალებითაც სტუდენტებს გაუადვილდებათ აქტუალურ/პრობლემურ საკითხებზე თავიანთი პოზიციის ჩამოყალიბება და შესაბამისად საკვლევი თემის, სათაურის განსაზღვრა, მათი ინტერესების გათვალისწინებით.

სასურველია, რომ სამართლის სამაგისტრო პროგრამის ისეთი სავალდებულო კურსი, როგორიც აკადემიური წერა იურისტებისათვისაა, ასწავლოს არა სხვა სპეციალობის მქონე პერსონალმა არამედ იურიდიული განათლების მქონე პირმა.

სასურველია, რომ აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული იყოს ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორიც სამეცნიერო-კვლევითი ასპექტია.

სასურველია, რომ გადაიხედოს იმ აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებული სამომავლო პერსპექტივები, რომელსაც ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო-კვლევითი აქტივობა არ უდასტურდებათ, რამდენადაც აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასა და მდგრადობას.

სასურველია, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემა ნათლად სრუქტურირებული და წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაფუძნებით იყოს განხორციელებული. ასევე, სასურველია, რომ პერსონალის შეფასების საფუძვლები წარმოდგენილ იქნეს, რაზე დაყრდნობითაც (მაგალითად, პერსონალის თვითსეფასება, გამოკითხივს შედეგები და ა.შ.) განხორციელდება აღნიშნული შეფასება.

სასურველია, რომ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით გაიწეროს იმგვარად, რომ პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევადობის გაზომვა და შეფასება შესაძლებელი გახდეს სრულფასოვნად. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირების აუცილებლობას და დღის წესრიგში დააყენებს პროგრამის მიზნებისა და პროგრამის სწავლის შედეგების ურთიერთმიმართების განსაზღვრის საჭიროებას.

უსდ-ში ჩატარებული გამოკითხვა, სასურველია, უშუალოდ სამართლის სამაგისტრო პროგრამას ეხებოდეს და არა სხვა პროგრამასა თუ პროგრამებს. ასევე, აღნიშნულის მტკიცებულებად ვერ იქნა გამოყენებული უსდ-ში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების ანალიზი: ზოგადად, უსდ-ში გამოკითხვა ჩატარებულია, მაგრამ მიღებული შედეგების ანალიზი არ არის წარმოდგენილი, რაც, პრაქტიკულად, გამორიცხავს გამოკითხვის შედეგების სამომავლო განვითარებისათვის გამოყენებადობას.

სასურველია, რომ პროგრამის შეფასების ისეთი არაპირდაპირი მექანიზმის, როგორიც დაინტერესებულ პირთა გამოკითხვაა, პრაქტიკული გამოყენების შედეგები გაანალიზდეს, ხოლო მიღებული შეფასების შედეგები პროგრამის გაუმჯობესების პროცესისათვის იქნეს გამოყენებული.

სასურველია, რომ სამართლის სამაგისტრო პროგრამა დადარებულ იქნეს უცხო ანალოგიურ პროგრამასთან ე.წ. Bechmarking-ის მეშვეობით, სადაც შერჩეულ იქნება შესაბამისი სპეციფიკაციის მქონე სამართლის სამაგისტრო პროგრამა/პროგრამები, განხორციელდება შედარებითი ანალიზი, ხოლო მიღებული შედეგი იქნება ხარისხის შიდა საფეხურზე განხორციელებული ისეთი კონტროლი, რომელიც ხელს შეუწყობს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებას.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სამართლის მაგისტრანტებს სთავაზობს აკადემიური პერსონალის არჩევით სალექციო კომპონენტებს უცხო ენაზე (ინგლისური ენა; გერმანული ენა); მსგავსი მიდგომა არის ძალიან კარგი საშუალება, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებისთვის, ბაზრის საჭიროებებიდან გამომდინარე, ასევე ამ მიმართულებით სამაგისტრო პროგრამის პოლიტიკის გატარება, შესაბამისად აისახება სწავლის შედეგებზე. ვინაიდან უცხოენოვანი საგნებიდან დღეის მდგომარეობით, არც ერთი საგანი არ ყოფილა აქტიური, მნიშვნელოვანია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მუდმივად იზრუნოს ამ მიმართულებით სტრატეგიის გაძლიერებაზე, რომლის თანახმად დააინტერესებს სტუდენტებს არჩევითი საგნების ნაწილში უცხოენოვანი საგანი გააააქტიურონ. მსგავსი მიდგომით, სამართლის პროგრამის მაგისტრანტებს ექნებათ შესაძლებლობა კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბდნენ; პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების უმეტესობისთვის, პარტნიორ, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში უზრუნველყოფილი იქნება გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება; ასევე სტუდენტს, სწავლის დოქტურანტურაში გაგრძელების შემთხვევაში, კვლევითი საქმიანობის დროს ექნება შესაძლებლობა გაეცნოს და გამოიყენოს უცხოენოვანი ლიტერატურა დედანში.

არსებითად მნიშვნელოვანი საკითხი შეიძლება რჩევის ფორმით იქნეს წარმოდგენილი: სამართლის სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი თანახელმძღვანელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი არის ერთი და იგივე პირი. ეს, სხვა თანაბარ პირობებში, შესაძლოა არ ყოფილიყო აქცენტირების საფუძველი, თუმცა, როდესაც საკითხი ეხება კონცეფტუალურად სხვადასხვა ისეთ ინსტიტუციურ მიმართულებას როგორიც პროგრამის ადმინინისტრირება-ხელმძღვანელობა და პროგრამის მონიტორინგის პროცესია, მაშინ ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობა გარდაუვალია: პროგრამის ხელმძღვანელების მიერ განხორციელებული საქმიანობის კონტროლს/მონიტორინგს ეწევა

ე.წ. შიდა კონტროლის მექანიზმად შექმნილი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მოცემული კომბინაციით კი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეამოწმებს მისი როგორც პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობას

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: პროგრამის ხელმძღვანელები ქმნიან პროგრამას, უზრუნველყოფენ მისი სწორი ადმინისტრირების ძირითად სტრატეგიებსა და მართვის პროცესს, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის შეფასების შიდა მექანიზმების მეშვეობით, რომელიც პირდაპირ და არაპირდაპირ მექანიზმებად იყოფა თვის მხრივ, ახორციელებს მის (პროგრამის) შეფასებასა და მონიტორინგს, ხოლო მიღებულ შედეგებს წარუდგენს პროგრამის ხელმძღვანელებს და ფაკულტეტის ადმინისტრაციას რეკომენდაციების სახით. შედეგად, სასურველია, რომ პროგრამის ხელმძღვანელად უსდ-ის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი არ იქნეს წარმოდგენილი.

პროგრამის განვითარების მიზნით, უმჯობესი იქნება, თუ განხორციელდება მისი განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება.

სასურველია, რომ პროგრამის სრული ბიუჯეტი ცალკე იყოს მისი ყველა სეგმენტით გამოყოფილი, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამის შემოსავლებისა და პროგრამის ხარჯების თანაფარდობით სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სარგებლიანობის განსაზღვრა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციების გათვალისწინებით უნივერსიტეტმა განახორციელა შემდეგი ცვლილებები:

სამაგისტრო პროგრამაში შემოღებული იქნა 5 კრედიტიანი სავალდებულო სამართლებრივი უცხო ენა: სამართლებრივი ინგლისური (B2+) და სამართლებრივი გერმანული (B2+). სავალდებულო კურსადაა წარმოდგენილი აკადემიური წერა იურისტებისთვის - 12 კრედიტი.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 წლის იანვრის თვეში იურიდიული ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებული კონკურსის შედეგად განახლდა აკადემიური პერსონალი, მოწვეულ იქნა მაღალკვალიფიციური

თეორიული თუ პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტები.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა კერძო, საჯარო, სისხლის და საერთაშორისო სამართალში არსებულმა სასწავლო კურსებმა. ზოგიერთი დისციპლინა დროებით ამოღებულ იქნა სამაგისტრო პროგრამიდან მათი გადამუშავების მიზნით, მოხდა საწავლო დისციპლინებში შინაარსობრივი ცვლილება, გაიზარდა პრაქტიკაზე ორიენტირებული საგნები, შეიცვალა საგნის სახელწოდებები და კრედიტები, პროგრამას მიმართულებების მიხედვით დაემატა ახალი სასწავლო კურსები, კერძოდ: კერძო მიმართულებას - შედარებითი სანივთო სამართალი, აღსრულების სამართალი, სახელშეკრულებო დავების გადაწყვეტის სასამართლო პრაქტიკა, საოჯახო-მემკვიდრეობითი დავების განხილვის თავისებურებანი სასამართლოში, მორალური ზიანის ანაზღაურება (შედარებითი სამართლებრივი ანალიზი), სატრანსპორტო გაგაყვანა - გადაზიდვების კერძოსამართლებრივი რეგულირების პრობლემები, სისხლის სამართლის მიმართულებით - ბიზნესის სფეროში ჩადენილი თაღლითობის გამოძიების მეთოდიკა, შედარებითი სისხლის სამართლი, საჯარო მიმართულებით-სამართლის ფილოსოფია, საზღვარგარეთის ქვეყნების ეკოლოგიური სამართლი, საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები და საკუთრების უფლების დაცვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, საერთაშორისო სამართლის მიმართულებით რომლებიც ორიენტირებულია კონფლიქტების სამართლებრივ რეგულირებაზე-სამხედრო კონფლიქტების სამართალი, მშვიდობის სამართალი, თანამედროვე საერთაშორისო სახელშეკრულებო სამართლი და პრაქტიკა, ტერიტორიული კონფლიქტები და საერთაშორისო სამართალი, მითითებული სასწავლო დისციპლინების წასაკითხად მოწვეულნი არიან გამოცდილი იურისტები, რომლებიც ეწევიან მეცნიერულ და პრაქტიკულ საქმიანობას, როგორც ქვეყნის შიგნით ისე საერთაშორისო მიმართულებით.

ცვლილება განიცადა კრედიტების რაოდენობამ საგნის მოცულობის, მისი შინაარსის და მიზნებიდან გამომდინარე.

მნიშვნელოვან როლს არსულებს პრაქტიკული უნარების განვითარებაში იურიდიული კლინიკა და სხვა და სხვა ორგანიზაციებთან გაფორმებული მემურანდუმები. ისინი სტუდენტებს ეხმარებიან იურიდიულ პროფესიისთვის დამახასიათებელი სათანადო უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და ათვისებაში.

უნივერსიტეტმა შეიძინა პლაგიატის კომპიუტერული პროგრამა, რომელიც აღმოფხვრის სამაგისტრო ნაშრომში, როგორც ტექნიკურ, ისე შინაარსობრივ ხარვეზებს. 2018 წელს დაცულ სამაგისტრო ნაშრომებში გათვალისწინებული იქნა სამაგისტრო ნაშრომების შესრულების

ინსტრუქციის მოთხოვნები. პლაგიატის წინააღმდეგ ბრძოლისა და სტანდარტების დამკვიდრების მიზნით სტუდენტებთან ტარდება შეხვედრა-საუბრები, მუდმივად ინერგება აკადემიური პატიოსნების სტანდარტი.

სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტმა შეისყიდა Heinonline, და შპს innovative systems Management (მიმდინარეობს მოლაპარაკებები Lexisnexis-ის შეძენაზე,) ამ ბაზებთან წვდომა სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას გაეცნოს უცხოენოვან ლიტერატურას. ბიბლიოთეკაში სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდოლოგიური ლიტერატურის მოძიება და შერჩევა ხდება ელექტრონული კატალოგის მეშვეობითაც.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის ამოცანები შეესაბამება მის მისიას, რეალისტურია, მიღწევადია და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. უნივერსიტეტის ერთ-ერთი მისია არის აფხაზების და ქართველების შერიგების პროცესის მხარდაჭერა. არსებული სასწავლო კურსებიდან, მათი შესაბამისი სილაბუსებიდან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პროგრამა აღნიშნულ მიზანს ახორციელებს, პროგრამას დაემატა რამდენიმე საგანი, რომელთა არსებობა მიმართულია ზემოთაღნიშნული მიზნის მიღწევისკენ. ასევე უნივერსიტეტის რექტორის მიერ მოწოდებულ იქნა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ხდება ოკუპირებული ტერიტორიებიდან სტუდენტების გადმოყვანა და ერთობლივი პროექტების განხორციელება. სამაგისტრო პროგრამა საშუალებას აძლევს მაგისტრატურის სტუდენტს შეიძინოს ცოდნა კერძო, საჯარო ან სისხლის სამართლის სფეროში. ასევე, სამაგისტრო პროგრამაში გათვალისწინებულია პრაქტიკული კომპონენტი, რაც სტუდენტებს ცოდნის პრაქტიკაში რეალიზების საშუალებასაც აძლევს. უნივერსიტეტის მისიიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, ასევე ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე სამართლის სამაგისტრო პროგრამას დაემატა საგნები, რომლებიც ორიენტირებულია კონფლიქტების რეგულირების თავისებურებების შესწავლასა და მოლაპარაკებების წარმართვაზე. ეს საგნებია: საკუთრების კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები და საკუთრების უფლების დაცვა ოკუპირებულ

ტერიტორიაზე, მშვიდობის სამართალი, ტერიტორიული კონფლიქტები და საერთაშორისო სამართალი, სამხედრო კონფლიქტების სამართალი, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში შექმნილია სამშვიდობო განათლების ცენტრი, რომელიც რეალურად ორიენტირებულია კონფლიქტების შესწავლაზე და ამ ცენტრის საქმიანობაში სტუდენტების ჩართვა მნიშვნელოვანია მათი განვითარებისთვის.

უნივერსიტეტის მიერ გაფორმებულ მემორანდუმებს ბოლო ერთი წლის განმავლობაში დაემატა ახალი მემორანდუმები, რაც კარგი შესაძლებლობაა სტუდენტებისთვის სტაჟირება გაიარონ იმ დაწესებულებაში, სადაც მეტად მიიღებენ მათთვის საჭირო პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც ასევე კარგი შანსია სამომავლოდ დასაქმდნენ ამ დაწესებულებებში.

პროგრამის მიზნების მისაღწევად უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ უნივერსიტეტს გააჩნია მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი, რაც მიმართულია კვლევების განხორციელებისთვის, აკადემიური პერსონალის განვითარების მიზნებისკენ.

უნივერსიტეტმა ბოლო ერთი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად განავითარა შესაბამისი ინფრასტრუქტურული რესურსი, რაც ასევე ემსახურება პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებას. ეს გარემოებები ცხადყოფს, რომ პროგრამის მიერ დასახული მიზნები რეალურად მიღწევადია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- ინტერვიუები სტუდენტებთან
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შედეგების სწორად განსაზღვრაში მნიშვნელოვანია გამოვყოთ უნარები და ცოდნა, რომელსაც სტუდენტი იღებს პროგრამის გავლის შედეგად. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინე ექსპერთა დასკვნა და პროგრამის შემუშავების და სრულყოფის პროცესში თანამშრომლობს დამსაქმებლებთან და მათი უკუკავშირის გათვალისწინებთ ახდენს პროგრამის მოდიფიცირებას. ამავდროულად, უნივერსიტეტი უკუკავშირს იღებდა და ითვალისწინებდა სტუდენტების მხრიდანაც.

შესწავლილი დოკუმენტაციის, ასევე გასაუბრებების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტმა შეძლო წინა დასკვნით გათვალისწინებული რეკომენდაციებისა და ჩევების გათვალისწინება, რაც საფუძველია იმისა, რომ სამაგისტროპროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამას დაემატა სამართლებრივი ინგლისურის (B2+) და სამართლებრივი გერმანულის (B2+) სასწავლო კურსები, რომლებსაც კითხულობენ გამოცდილი პროფესიონალი იურისტები, რომელთაც გააჩნიათ დარგობრივ ენაში მაღალი კომპეტენცია. აღნიშნული საგნების შესწავლა გათვალისწინებულია პირველ სემესტრში, რაც სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას სიღრმისეულად გაეცნოს უცხოენოვან ლიტერატურას, ქონდეს რეალური წვდომა საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან და საბოლოოდ, განახორციელოს სამაგისტრო ნაშრომის ხარისხიანად შესრულება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს გადაწყვეტილება ორიენტირებულია გაზარდოს სტუდენტის შესაძლებლობა, რათა მან შეძლოს კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტის დაცვა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე, საგნების თემატიკიდან და მოცულობიდან გამომდინარე მოხდა კონკრეტული საგნებისთვის კრედიტების განსაზღვრა. ასევე პროგრამიდან ამოღებული იქნა ისეთი საგნები, რომელთა სილაბუსით განსაზღვრული შინაარსი არ შეესაბამებოდა მაგისტრატურის საფეხურს. მაგ: „კონსტიტუციონალიზმის ტრადიციები საქართველოში.“

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან
- ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან
- ინტერვიუები სტუდენტებთან
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV
- უნივერსიტეტის მისია
- სამართლის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	ამისობაშია მოთხოვნებთან	ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და	X			

მათთან პროგრამის შესაბამისობა				

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პიროვნებების პროგრამაში ჩართვას. უნდა აღინიშნოს, რომ ერთიწლის წინ განხორციელებული ვიზიტის დროს მიმდინარეობდა უნივერსიტეტის ვებ გვერდზე მუშაობა, ამ ეტაპისთვის უნივერსიტეტს დასრულებული აქვს აღნიშნული პროცესი და ინფორმაცია პროგრამაზე ჩარიცხვის, წინაპირობის, პროგრამის მიზნების, შედეგების, შეფასების სიტემის, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს დამატებითი ინფორმაცია კურსდამთავრებულთა დასაქმების, სწავლის გაგრძელების პერსპექტივის და სხვა საკითხების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ვებ გვერდს დაემატა სტუდენტების და ლექტორებისთვის ცალკე გამოყოფილი სისტემა, რომელიც უადვილებს მათ საინტერესო საკითხებზე არსებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. უნივერსიტეტის მიერ მომზადებულ თვითშეფასების დოკუმენტში ჩამოთვლილია სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვთ სრული ზოგადიგანათლების მქონე პირებს, რომელებიც ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს.

სამართლის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების საფუძველზე. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტთა მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამა განსაზღვრევს როგორც შიდა, ისე გარე მობილობის წესს, რომელიც სრულად მოდის კანონმდებლობით დადგენილ რეგულაციებთან შესაბამისობაში. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის, ასევე განთავსებული უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების დოკუმენტი ○ უსდ-ის ვებ-გვერდი ○ უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის რეგულირების წესი ○ იურიდიული ფაკულტეტის გვერდი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სამაგისტრო პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი კომპონენტებისგან, უნდა აღინისშნოს, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს პრაქტიკას.

სამაგისტრო პროგრამას აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის გადაცემას მარტივიდან რთულისაკენ, რაც სდუდენტს უადვილებს სწავლების პროცესს.

პროგრამას დაემატა უცხო ენის კომპონენტი (სამართლებრივი ინგლისურის (B2+) და სამართლებრივი გერმანული (B2+), რომელსაც სტუდენტები გაივლიან პირველ სემესტრში, არნიშნული გაუადვილებს მას მარტივად დაამუშაოს ლიტერატურა შესაბამის ენაზე და მიიღოს მისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

პროგრამა, ერთი მხრივ, ორიენტირებულია თეორიული ცოდნის, საჯარო/კერძო/სისხლის სამართლის სიღრმისეულ შესწავლასა და სტუდენტში კვლევის უნარების გამომუშავებაზე, მეორე მხრივ სთავაზობს მიღებული და დაგროვილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას, რაც ორიენტირებულია სტუდენტის პრაქტიკული და პროფესიული უნარ–ჩვევების გამომუშავებზე, ეს გარემოება ხელს უწყობს მათ დასაქმებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;

- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სამართლის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების უმრავლესობის სწავლის შედეგები გამომდინარეობს სასწავლო კურსის მიზნებიდან და შინაარსიდან. სასწავლო კურსები დაგეგმილია ისე, რომ სტუდენტისგან მოითხოვს ძირითადი ლიტერატურიდან ინფორმაციის გაცნობას, დამუშავებას და სიღრმისეულ გააზრებას.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სასწავლო მასალა შედგენილია სასწავლო კურსის სწავლის შედეგებიდან გამომდინარე. სახელმძღვანელოები ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას. მოიცავს დარგის უახლეს მიღწევებსა და კვლევებს. თუმცა ვხვდებით საგნებს, სადაც ძირითადილიტერატურა შედარებით ძველია და შეიძლება არ ასახავდეს თანამედროვე მიდგომებს. რადგან სასწავლოკურსების ნაწილი შედარებით ანალიზს ითვალისწინებს და მოიცავს სხვადასხვა ქვეყნების საკანონმდებლო რეგულაციების შესწავლას და ბუნებრივია კანონმდებლობა დროთა განმავლობაში იცვლება, ამიტომ რამოდენიმე სილაბუსში ძირითად ლიტერატურად განსაზღვრული მასალა შეიძლება აცდენილი იყოს რეალობას. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ **LAW M 220 „შედარებითი სისხლის სამართლის პროცესი“,** ამ სილაბუსში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა დამუშავებულია1999 და 2007 წლებში. პროგრამით ასევე განსაზღვრულია საგანი **LAW M 232 „ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტები და სასამართლო პრაქტიკა“,** სადაც სავალდებულო ლიტერატურა აგებულია ქართულ კანონმდებლობაზე, სტატიებზე და ქართულ სასამართლო პრაქტიკაზე, სილაბუსის თემატიკიდან კი ირვევა, რომ სტუდენტები სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებას შეისწავლიან. ფაქტია მითითებული სავალდებულო ლიტერატურა არ არის საკმარისი მიზნის სრულად მისაღწევად.

უნივერსიტეტმა რეკომენდაციის შესაბამისად მოახდინე ცვლილებების განხორციელება სილაბუსებსა და პროგრამაში,რის შედეგადაც თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან

რეკომენდაციები:

აუცილებელია მოხდეს ლისაბუსებში სავალდებულო ლიტერატურის გადამუშავება, დაემატოს უახლესი მასალა, რაც სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას მიიღოს და გაიღრმავოს ცოდნა. ასევე ლიტერატურის დამატების შემთხვევაში აუცილებელია შესაბამისი სახელმძღვანელოებით ბიბლიოთეკის მომარაგება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

0 გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში. თვითშეფასების დოკუმენტში მითითებულია, რომ უნივერსიტეტი ,,აცნობიერებს სტუდენტთა ჩართვის აუცილებლობის მნიშვნელობას და სტუდენტთა ჩართვის აუცილებლობას განათლების მართვაში, მიზნად ისახავს, უზრუნველყოს სტუდენტთა მონაწილეობა სასწავლო თუ სამეცნიერო პროცესში, საზოგადეობრივ საქმიანობაში და სხვა“. გასაუბრების და დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ უნივერსიტეტი რეალურად აძლევს შესაძლებლობას სტუდენტებს აქტიურად ჩაერთონ კვლევით საქმიანობაში. უნივერსიტეტმა კვლევისა და სტუდენტებისთვის შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის შეიძინა საბიბლიოთეკო ელექტრონული ბაზა heinonline, დეკანის მიერ მოწოდებული ინფორმაციით მიმდინარეობს მოლაპარაკება lexisnexis- ის შეძენაზე. რეკომენდაციის საფუძველზე უნივერსიტეტმა შეისყიდა პლაგიატის კომპიუტერული პროგრამა, უნივერსიტეტი ახორციელებს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამუშავებული და წარმოდგენილი ნაშრომების შიდა სამართლებრივი აქტებით რეგულირების პროცესს, რაც აღმოფხვრის ნაშრომში პლაგიატის ნიშნებს. უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემარანდუმები სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებთან, ამ მემორანდუმების საფუძველზე ხდება სტუდენტების გაგზავნა პრაქტიკაზე. სამართლის სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს პრაქტიკას სავლდებულო კომპონენტის სახით, თუმცა პარალელურად მიმდინარეობს სტაჟირების პროექტებში სტუდენტების ჩართვა, მათ აქვთ შესაძლებლობა გამოიმუშაონ პრაქტიკული უნარ-ჩვევები. უნივერსიტეტი მონაწილეობას იღებს და ასევე თვითონ არის ორგანიზატორი კონფერენციების, საჯარო ლექციების, სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ მათი ინერესების სფეროს შესაბამისად იყვნენ ჩართულნი სხვადასხვა აქტივობაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის სამაგისტრო პროგრამა ○ თვითშეფასების დოკუმენტი

- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

ბრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ მომზადებული რეკომენდაციების გათვალისწინების შედეგად შეფასების კრიტერიუმები გახდა მრავალკომპონენტიანი. გარკვეულ დარგებში შეიცვალა სწავლის მეთოდებიც. დეტალურად გაიწერა ის აქტივობები, რომელთა მიხედვითაც ხდება სტუდენტის შეფასება.

უნდა აღინიშნოს, რომ სამაგისტრო პროგრამა გამოირჩევა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება - სწავლის მეთოდებით, რომელთა მთავარი მიზანია მაქსიმალურად ჩართოს სტუდენტი დაგეგმილ აქტივობებში. პროგრამა ორიენტირებულია პრაქტიკულ აქტივობებზე და ცდილობს სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა მაქსიმალურად კონკურენტუნარიანი გახადოს შრომით ბაზარზე.
სწავლება - სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების

ინდივიდუალურ საჭიროებებს.

სწავლების შედეგების მისაღწევად, სამართლის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისას ადეკვატური მეთოდების შერჩევა ხორციელდება, თანმიმდევრულად - სწავლის მიზნების, შედეგების, სასწავლო კომპონენტის სპეციფიკისა და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური თავისუფლების პრინციპის გათვალისწინებით.

უნდა აღინიშნოს, რომ სწავლება- სწავლის მეთოდები სრულ შესაბამისობაში მოდის მაგისტრატურის საფეხურთან, ასევე თითოეული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება კურსის შინაარს და ორიენტირებულია სწავლის შედეგების მიღწევისკენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის სამაგისტრო პროგრამა
- სასწავლო კურსების სილაბუსები
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ ლექტორებთან
- გასაუბრება სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

[x] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტმა მაქსიმალურად გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაციები სტუდენტთა შეფასების ნაწილში და აღმოფხვრა ის ნაკლოვანებები, რაც ფიქსირდებობა. წარმოდგენილ სილაბუსებში შეფასებები დეტალურადაა ჩაშლილი, ჩანს აკადემიურიპერსონალის ინდივიდუალიზმი, რაც მიუთითებს, რომ შეფასების ნაწილი მათ მიერ არის დამუშავებული, ასევე აღნიშნულ ნაწილში გათვალისწინებულია კონკრეტული საგნების

სპეციფიკა. ასეთი ფორმით სტუდენტების შეფასების ნაწილის დამუშავება სილაბუსებში სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას წინასწარ იცოდეს თუ როგორ და რა კრიტერიუმების მიხედვით შეფასდება კონკრეტულ საგნებში. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა შეფასების ზოგადი წესი კანონთან შესაბამისობაშია, რაც დასტურდება სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ სამართლის სამაგიტრო პროგრამა ○ ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ○ ინტერვიუ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან ○ სილაბუსები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	ამისობაშია მოთხოვნებთან	ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
საჯარო სამართლის იურიდიული პირი(სსიპ) სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის (შემდგომში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება) მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის სამაგისტრო

პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, სტრუქტურა და პირობები, შიდა სამართლებრივი აქტებით მკაფიოდ და ნათლად არის ჩამოყალიბებული. სტუდენტებისათვის მნიშველოვანი და საჭირო ინფორმაცია, სწავლის პროცესის დაგეგმვის, მიმდინარეობის შესახებ, დეტალურად და გასაგებად არის აღწერილი და მიწოდებული.

როგორც სტუდენტებმა, ექსპერტთა ვიზიტისას, ინტერვიუირების პროცესში აღნიშნეს, სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესახებ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული შიდასამართლებრივი აქტებით განსაზღვრული პროცედურები, ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგებია მათთვის. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ზრუნავს სტუდენტისათვის ყველა საჭირო ინფორმაციის მიწოდებაზე.

უნივერსიტეტი ითვალისწინებს რა, მაგისტრანტების დღისწესრიგს, ლექციების ჩატარების დროს, სტუდენტების ინტერესების მიხედვით საზღვრავს, რაც სასწავლო პროცესს ბევრად უფრო მოქნილს და კომფორტულს ხდის (სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტების უმეტესობა დასაქმებულია და წარმატებით ახორციელებენ პრაქტიკულ საქმიანობას, როგორც კერძო ისე საჯარო სექტორში).

უსდ-ს მიერ გათვალისწინებული იქნა 2018 წლის 27 მარტის, ექსპერტთა დასკვნაში ასახული რეკომენდაცია, რის შედეგადაც სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და შესრულებისათვის არსებობს შესაბამისი ელექტრონული ბაზა, რომლის საშუალებით სტუდენტებს, სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია და აქვთ კომუნიკაცია, როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, თემის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ თუ მოწვეულ პერსონალთან.

ექსპერტთა ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის სამაგისტრო პროგრამამ ბოლო პერიოდის განმავლობაში განიცადა მოდიფიკაცია და სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლების, დამსაქმებელთა, შეფასებებით მიღებული უკუკავშირის შესაბამისად სამართლის სამაგისტრო პროგრამით განსაზღვურული სავალდებულო და არჩევითი საგნები მაქსიმალურად ორიენტოირებული გახდა პრაქტიკულ კომპონენტზე, სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენებასა და ბაზრის გამოწვევების შესაბამისად, სათანადო, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაზე. აღნიშნულ გარემოებას ამყარებს პროგრამაში, სავალდებულო, სამართლებრივი ინგლისურის - English for Specific Purposes - Law (B2+) და სამართლებრივი

გერმანულის - Germany for Specific Purposes - Law (B2+) კურსის დამატება და არჩევითი - ინგლისურ და გერმანულენოვანი საგნების, დამატება. ასევე, უნივერსიტეტმა განსაზღვრა მიმართულება წინამდებარე პროგრამის ფარგლლებში, კონფლიქტების საკითხების მოგვარების მიმართულებით შესაბამისი საგნების მრავალფოროვნებითა და სპეციფიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებით, აღნიშნული იდეის განხორციელების მიზნით მოწვეულ იქნენ შესაბამის სფეროში მოღვაწე გამოცდილი სპეციალისტები კონფლიქტების დარგში, რომელთა მიერ შემუშავდა სილებუსები და განისაზღვრა სტრატეგია. აღნიშნული სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია, ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის წარმომადგენლობის დაფუძნება - "ელსა სოხუმი", რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სტრატეგიის შემუშავებასა და მიზნების მიღწვაში, სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს, როგორც სტუდენტების ინფორმირებას ადგილობრივი სამეცნიერო ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების და მათი მოპოვების შესახებ, ასევე თავადაც ახორციელებს წარმატებული სტუდენტების წახალისებას, მათი დაფინანსების/თანადაფინანსების, სტიპენდიების გაცემის სახით. სტუდენტები მონაწილეობენ როგორც საუნივერსტეტო, ასევე საქართველოს მასშტაბით გამართულ ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, სტატიების მომზადებასა და გამოქვეყნებაში, საზღვარგარეთ დაგეგმილ საერთაშორისო იმიტირებულ პროცესებსა თუ კონფერენციებში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება მაქსიმალურად უცხადებს მხარდაჭრრას თავის სტუდენტებს, და საჭიროების შემთხვევაში მზადაა გამოყოს შიდა (საუნივერსიტეტო) გრანტები როგორც მაგისტრანტებისთვის ასევე აკადემიური პერსონალისთვის, სამეცნიერო კვლებითი პროექტების დასაფინანსებლად. უნივერსიტეტი ხელს უწყობს და ეხმარება მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებს იქნება ეს სწავლის გადასახადის შემცირება თუ სტიპენდიების გაცემა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ჩართულია ერასმუსის პროგრამაში ასევე, ყავს რამოდენიმე პარტნიორი უნივერსიტეტეტი და აქტიურად გეგმავს, პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით, დამატებით განახორციელოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან. სადაც გაცვლითი პროგრამებში სტუდენტები უფრო აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს სტუდენტთა მიერ პროგრამის შეფასების შედეგების ანალიზს, რომელიც სამომავლოდ გამოიყენება დასახული სწავლის

შედეგის მიღწევის მტკიცებულებად და ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამის სამომავლო განვითარების პროცესის უზრუნველყოფას.

სტუდენტები დაწესებულების ხელშეწყობით საქმდებიან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება პერიოდულად აწვდის მათ ინფორმაციას ვაკანსიების შესახებ. უსდ-მ მხედველობაში მიიღო 2018 წლის 27 მარტის ექსპერტთა დასკვით გათვალისწინებული რეკომენდაცია, და განსაზღვრა დამსაქმებლებთან მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობების თანამედროვე სტრატეგია, რომლის ფარგლებშიც უფრო მეტ კერძო დამსაქმებლებთან გაფორმდა მემორანდუმები, რომლის ფარგლებში დამსაქმებლები აფიქსირებენ კონკრეტულ მოთხოვნებს, გამოხატავენ ინტერესს კონკრეტულ სფეროში შესაბამისს სპეციალიზაციებთან დაკავშირებით, წარმოადგენენ საჭირო კადრების შესახებ რეკომენდაციებს.. უნივერსიტეტი ზრუნავს სამართლის სამაგისტრო პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე და არ ღალატობს ტრადიციას, ამჯერადაც სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა, წარმატებით მიიღეს მონაწილეობა ჰააგის იმიტირებულ პროცესში. აღნიშნული ღონისძიების მოსამზადებელი სამუშაოები ისევე როგორც ფინანსური უზრუნველყოფა განხორციელდა უნივერსიტეტის მხარდაჭერით.

ინტერნაციონალიზაციის მიმართულების გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტში აქტურად ეწყობა უცხოენოვანი საჯარო ლექციები, აქტუალურ საკითხებზე. რომლებსაც ატარებენ ქართველი და უცხოელი მეცნიერები, პრაქტიკოსი იურისტები.

2018 წლის 27 მარტის ექსპერტთა დასკვით გათვალისწინებული რჩევების თანახმად, უნივერსიტეტის მიერ განისაზღვრა, მისაღებ გამოცდებზე - ენის სერთიფიკატის რელევანტურობა: "უცხო ენის(ინგლისური ენა; გერმანული ენა) გამოცდისაგან გათავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი (B2) დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს.(IELTS, TOEFL, FCE, TOLES, ILEC)"; და ორი უცხო ენის განსაზღვრით, (ინგლისური ენა; გერმანული ენა)- უფრო შესაძლებელი და მიღწევადი გახადა პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა.

სამართლის კლინიკა - უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტზე, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს იურიდიული კლინიკა - ,,ჩემი ადვოკატი", სადაც მაგისტრანტები პრაქტიკულ საქმიანობას ახორციელებენ, ძირითადად იურიდიული კონსულტაციის მიმართულებით. აქვთ წარმატებით დასრულებული თუ მიმდინარე სასამართლო პროცესები, სადაც თავიანთ კლიენტებს უწევენ იურიდიულ დახმარებას.

სამართლის სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკულ ნაწილის განხორციელებაში ჩართულია ბევრი პრაქტიკოსი იურისტი; სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები მიმდინარე

პროცესებში მაქსიმალურად არიან ჩართულები. იურიდიული კლინიკის ფარგლებში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მემორანდუმები აქვს გაფორმებული, როგორც საჯარო ისე კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, კლინიკის ფარგლებში, სტაჟირების წარმატებით გავლის შემთხვევაში, სტუდენტების დასაქმება ხორციელდება. კლინიკის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტის გავლით, სტუდენტები თეორიულ ცოდნასთან ერთად ეუფლებიან პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და პრაქტიკის წარმატებით დასრულების შემდგომ, მათი სურვილისამებრ საქმდებიან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; სამართლის სამაგისტრო პროგრამა; სილაბუსები; სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი; მემორენდუმები პარტნიორ უნივერსიტეტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საჯარო და კერძო დაწესებულებებთან; აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სამაგისტრო თემების ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სამართლის მაგისტრანტებს სთავაზობს აკადემიური პერსონალის არჩევით სალექციო კომპონენტებს უცხო ენაზე (ინგლისური ენა; გერმანული ენა); მსგავსი მიდგომა არის ძალიან კარგი საშუალება, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებისთვის, ბაზრის საჭიროებებიდან გამომდინარე, ასევე ამ

მიმართულებით სამაგისტრო პროგრამის პოლიტიკის გატარება, შესაბამისად აისახება სწავლის შედეგებზე. ვინაიდან უცხოენოვანი საგნებიდან დღეის მდგომარეობით, არც ერთი საგანი არ ყოფილა აქტიური, მნიშვნელოვანია უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მუდმივად იზრუნოს ამ მიმართულებით სტრატეგიის გაძლიერებაზე, რომლის თანახმად დააინტერესებს სტუდენტებს არჩევითი საგნების ნაწილში უცხოენოვანი საგანი გააააქტიურონ. მსგავსი მიდგომით, სამართლის პროგრამის მაგისტრანტებს ექნებათ შესაძლებლობა კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბდნენ; პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების უმეტესობისთვის, პარტნიორ, საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში უზრუნველყოფილი იქნება გაცვლითი სემესტრის ფარგლებში სწავლება; ასევე სტუდენტს, სწავლის დოქტურანტურაში გაგრძელების შემთხვევაში, კვლევითი საქმიანობის დროს ექნება შესაძლებლობა გაეცნოს და გამოიყენოს უცხოენოვანი ლიტერატურა დედანში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი(სსიპ) სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის (შემდგომში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება) მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობაში ისეთი პირები არიან ჩართულნი, რომელთაც შესაბამისი აკადემიური გამოცდილება აქვთ. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 27 მარტის, მიერ შემუშავებული დასკვნაში იყო მითითებები, სამაგისტრო ნაშრომების გაცნობის პროცესში გამოიკვეთილი რიგი ხარვეზების შესახებ, როგორც ნაშრომის შინაარსობრივ, ისე ფორმალურ ნაწილთან დაკავშირებით. აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტის დროს სამაგისტრო თემების ხელმძღვანელებთან ინტერვიურების პროცესში დასმულ კითხვაზე, თუ რამდენად სათანადოდ არიან მომზადებულნი სამაგისტრო თემის დასამუშავებლად სტუდენტები, ისე როგორც ამას აღნიშული პროგრამისთვისთვის დადგენილი სტანდარტი ითვალისწინებს, სამაგისტრო თემის ხელმძღვანელების მიერ აღინიშნა, რომ მათ უწევთ ზრუნვა იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და დახვეწაზე რაც აუცილებელია ნაშრომზე სამუშაოდ. მოცემული ვითარებიდან გამოიკვეთა რომ მაგისტრანტების უმეტესობა სრულფასოვნად არ ფლობდა იმ უნარ-ჩვევებს რომელთა შესწავლაც გათვალისწინებულია შესაბამისი სასწავლო კომპონენტებით, რაც სამაგისტრო ნაშრომების ხარისხზე აისახა. თავის მხრივ, 2019 წლის 30 მაისს განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში დეტალურად შემოწმდა 2018-2019 წლს დამუშავებული სამაგისტრო ნაშრომები, უნდა აღინიშოს რომ აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომები, წინა წლებთან შედარებით, მეტწილად გაუმჯობესებული აკადემიურ სტანდარტით გამოირჩევა და ზოგიერთი მათგანი საინტერესო კვლევით მიმართულებებსაც ეხება.

სამაგისტრო ნაშრომების მაღალი ხარისხით დამუშავების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა მიდგომა, რომლის თანახმად უნდა დაიხვეწოს აკადემიური წერის სტანდარტი და ამ მიზნით მოდიფიკაცია განიცადა, ძირითად სასწავლო გეგმასთან, სალექციო კურსმა, “აკადემიური წერა”. უნივერსტეტმა განსაზღვრა სტრატეგია, რომელიც ეხება სტუდენტებისთვის, სამაგისტრო ნაშრომების სათაურების ჩამონათვალის შეთავაზებას ხელმძღვანელების მიერ , სურვილისამებრ, თუ სტუდენტებს არ აქვთ განსაზღვრული სამაგისტრო ნაშრომის თემატიკა, აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მათ,

პრობლემის აქტუალობის გათვალისწინებით, სასურველი თემა აირჩიონ დასამუშავებლად. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეისყოდა სპეციალური პლაგიატის პროგრამა, რომლის დანერგვის პროცესი ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს და რომლის მეშვეობითაც განხორციელდება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამუშავებული და წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომების შემოწმება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში თანდართული დოკუმენტაციით; სამართლის სამაგისტრო პროგრამა; სილაბუსები; სამაგისტრო ნაშრომები, აკრედიტაციის ქსპერტთა ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სამართლის სამაგისტრო პროგრამის, სამაგისტრო თემების ხელმძღვანელებთან, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან.
სამართლის სამაგისტრო პროგრამამ, ხელი უნდა შეუწყოს სტუდენტს კონკრეტული დავალებების შესრულებით გამოიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის დამუშავებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები; წყაროების მოძიებით, ლიტერატურის გაანალიზებით, დისკუსიების ფარგლებში იქნება ეს, პრობლემის სწორად განსაზღვრა, სათაურის შერჩევა, ნაშრომის შინაარსი, აკადემიური ნაწილი თუ სხვა. ასევე წაახალისოს და ხელი შეუწყოს მაგისტრანტებს, სამეცნიერო კვლევით პროექტებში მიიღონ მონაწილეობა. ამასთან მნიშვნელოვანია დაიგეგმოს, პრობლემური საკითხების განხილვისთვის შესაბამისი აქტივობები უფლებამოსილ ორგანოებთან, კომპეტენტურ პირებთან, კანონმდებლობაში არსებულ ნაკლოვანებებსა თუ საჭიროებებზე, რისი საშუალებითაც სტუდენტებს გაუადვილდებათ აქტუალურ/პრობლემურ საკითხებზე თავიანთი

პოზიციის ჩამოყალიბება და შესაბამისად საკვლევი თემის, სათაურის განსაზღვრა, მათი ინტერესების გათვალისწინებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან x **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	ამისობაშია მოთხოვნებთან	ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან საქართველოს კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია, განსაკუთრებით აკადემიური პერსონალის, ფაქტობრივად, პასუხისბს მათთვის წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. თუმცა, აკადემიური პერსონალიდან არის რამდენიმე შემთხვევა, სადაც

აკადემიურ პერსონალს ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უდასტურდება სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება რეფერირებად ჟურნალში თუ სახელმძღვანელო-მონოგრაფიის სახით. მოწვეული პერსონალის შემთხვევაში მათი კომპეტენცია უფრო მეტად გამოცდილების კუთხით შეიძლება შეინიშნოს, რადგან მათ შემთხვევაში სამეცნიერო ნაშრომების მხრივ, რეალურად, ნაკლებად დასტურდება პროგრამის სწავლის შედეგისათვის აუცილებელია კვალიფიკაცია. აღნიშნული პრობლემის შემქმნელი იქნება იმ ეტაპისათვის, როდესაც დღის წესრიგში დადგება სტუდენტის სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ეტაპზე.

სამართლის სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას, უმცა უნდა აღინიშნოს, რომ აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში, ფაქტობრივად, მხოლოდ საკონტაქტო საათებზეა აქცენტი გაკეთებული. სასურველია, რომ აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისასუფრო მეტად იყოს გათვალისწინებული იყოს ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორიც სამეცნიერო-კვლევითი ასპექტია.

აქვე აღსანიშნავია, ჩვენ ხელთ არ იყო მონაცემი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის დატვირთვა ყველა იმ უსდ-ში, სადაც ის არის დასაქმებული.

აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულ პერსონალთან არის 21/25-ზე. მოცემული თანაფარდობა, სასურველია, შეიცვალოს აკადემიური პერსონალის სასარგებლოდ, რათა პროგრამის მდგრადობა მეტად იქნეს უზრუნველყოფილი.

აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა საკმარისი და ადეკვატური სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით.

აკადემიური/მოწვეული პერსონალის დენადობა უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებასა და მდგრადობას. მაგისტრანტების რაოდენობა ფაქტობრივ შესაბამისობაში ხელმძღვნელთა დათვირთვასთან.

ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალის ნაწილი ჩართულია პროგრამის განვითარების პროცესში.

სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდ არიან ჩართულები პროგრამის განხორციელებაში.

ზემოაღნიშნულთან ერთად, სასურველია, რომ პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები დეტალურად გაიწეროს და წარმოდგენილ იქნეს. მიუხედავად იმისა, რომ სამაგისტრო პროგრამის შემუშავების ინსტრუქციაში გაწერილია ხელმძღვანელთან დაკავშირებული საკითხები მე-3 მუხლში, ის არ არის საკმარისი პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციების აღწერისათვის.

პროგრამის სტუდენტები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით: ფაკულტეტის დეკანი, დეკანის მოადგილე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და სტუდენტთა რეესტრის წარმოების სამსახური. ასევე პროგრამა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტში არსებული სხვა სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით (სამეცნიერო მუშაობის სამსახური, ბიბლიოთეკა, სტუდენტთა პრაქტიკის და კარიერის სამსახური, საგარეო ურთიერთობების სამსახური და სხვ.). თუმცა, აღნიშნულის მტკიცებულებად ვერ იქნა გამოყენებული უსდ-ში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების ანალიზი: ზოგადად, უსდ-ში გამოკითხვა ჩატარებულია, მაგრამ მიღებული შედეგების ანალიზი არ არის წარმოდგენილი. გამოკითვის შედეგების ანალიზის გარეშე გამოკითხვის ეფექტიანობა ეჭვქვეშ დგება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული სტანდარტის თვითშეფასების ანგარიში ძალიან მცირე ინფორმაციის შემცველია, ამიტომ, სასურველია, რომ უსდ-მ უფრო სრულფასოვნად ასახოს არსებული რეალობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში.
- სამაგისტრო პროგრამის ინსტრუქცია.
- პროგრამის დაგეგმვის მეთოდოლოგია. პერსონალის პირადი საქმეები.
- სამართლის სამაგისტრო პროგრამა.
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით.
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის დენადობის მაჩვენებელი.
- უსდ-ში ჩატარებული გამოკითხვა.
- ინტერვიუირება.

რეკომენდაციები:

სასურველია, რომ სამართლის სამაგისტრო პროგრამის ისეთი სავალდებულო კურსი, როგორიც აკადემიური წერა იურისტებისათვისაა, ასწავლოს არა სხვა სპეციალობის მქონე პერსონალმა არამედ იურიდიული განათლების მქონე პირმა.

სასურველია, რომ აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული იყოს ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორიც სამეცნიერო-კვლევითი ასპექტია.

სასურველია, რომ გადაიხედოს იმ აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებული სამომავლო პერსპექტივები, რომელსაც ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო-კვლევითი აქტივობა არ უდასტურდებათ, რამდენადაც აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებასა და მდგრადობას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არსებითად მნიშვნელოვანი საკითხი შეიძლება რჩევის ფორმით იქნეს წარმოდგენილი: სამართლის სამაგისტრო პროგრამის ერთ-ერთი თანახელმძღვანელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი არის ერთი და იგივე პირი. ეს, სხვა თანაბარ პირობებში, შესაძლოა არ ყოფილიყო აქცენტირების საფუძველი, თუმცა, როდესაც საკითხი ეხება კონცეფტუალურად სხვადასხვა ისეთ ინსტიტუციურ მიმართულებას როგორიც პროგრამის ადმინინისტრირება-ხელმძღვანელობა და პროგრამის მონიტორინგის პროცესია, მაშინ ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობა გარდაუვალია: პროგრამის ხელმძღვანელების მიერ განხორციელებული საქმიანობის კონტროლს/მონიტორინგს ეწევა ე.წ. შიდა კონტროლის მექანიზმად შექმნილი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, მოცემული კომბინაციით კი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეამოწმებს მისი როგორც პროგრამის ხელმძღვანელის საქმიანობას

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: პროგრამის ხელმძღვანელები ქმნიან პროგრამას, უზრუნველყოფენ მისი სწორი ადმინისტრირების ძირითად სტრატეგიებსა და მართვის პროცესს, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის შეფასების შიდა მექანიზმების მეშვეობით, რომელიც პირდაპირ და არაპირდაპირ მექანიზმებად იყოფა თვის მხრივ, ახორციელებს მის (პროგრამის) შეფასებასა და მონიტორინგს, ხოლო მიღებულ შედეგებს წარუდგენს პროგრამის ხელმძღვანელებს და ფაკულტეტის ადმინისტრაციას რეკომენდაციების სახით. შედეგად, სასურველია, რომ პროგრამის ხელმძღვანელად უსდ-ის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი არ იქნეს წარმოდგენილი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

▌მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შეფასების კონტექსტში უსდ-ის მიერ წარმოდგენილი პერსონალის საქმიანობის შეფასება, რომელის სწავლებისა და კვლევის კუთხით იყოფა. თუმცა, შეფასების ის ფორმები, რომელიც აღნიშნულ დოკუმენტშია წარმოდგენილი მას თან არ ახლავს, რაც ართულებს იმ ნაწილის შესწავლას, რომელიც საფუძვლად დაედო ასეთი შეფასების შედეგის წარმოდგენას. აქვე გასათვალისწინებელია, რომ გამოკითხვის შედეგების ანალიზი, ფაქტობრივად, არ არის განხორციელებული. ასევე, არ არის წარმოდგენილი და არ დასტურდება არც ინტერვიუირების შედეგად, რომ აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები პერსონალის მართვის პროცესში არის გამოყენებული. მიუხედავად ამისა, უსდ-ში ხორციელდება პერსონალის განვითარების ხელშემწყობი აქტივობები. აკადემიური/მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიება: აკადემიური და მოწვეული პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში ტარდება ტრენინგები, საინფორმაციო შეხვედრები თანამედროვე გამოცდილების გაზიარების მიზნით. გარდა ამისა უნივერსიტეტი მხარს უჭერს აკადემიური პერსონალის

საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებზე, ტრენინგებზე, საგრანტო პროექტებში მონაწილეობას. უსდ-ში აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელის შესაწყობად შექმნილია აუცილებელი პირობები, მაგალითად, მატერიალური რესურსები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში. ○ უნივერსიტეტისა და პროგრამის ბიუჯეტი. ○ პერსონალის საქმიანობის შეფასება. ○ ინერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: სასურველია, რომ აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების სისტემა ნათლად სრუქტურირებული და წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებზე დაფუძნებით იყოს განხორციელებული. ასევე, სასურველია, რომ პერსონალის შეფასების საფუძვლები წარმოდგენილ იქნეს, რაზე დაყრდნობითაც (მაგალითად, პერსონალის თვითსეფასება, გამოკითხივს შედეგები და ა.შ.) განხორციელდება აღნიშნული შეფასება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

■ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან □ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საჯარო სამართლის იურიდიული პირი(სსიპ) სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის (შემდგომში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება) მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შესწავლის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ასევე სამართლის სამაგისტრო პროგრამის შესწავლისა და დამუშავების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები: სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა გამართულია, აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და აპარატურით, აუდიტორიები იდეალურ მდგომარეობაშია და შექმნილია კომფორტული გარემო სწავლისათვის. საბიბლიოთეკო რესურსი მრავალფეროვანია, სამართლის ბიბლიოთეკა გამოირჩევა მრავალფეროვანი ლიტერატურით, უნივერსიტეტს გააჩნია ელექტრონული ბიბლიოთეკა, სადაც ყველა სტუდენტს შეუზღუდავი წვდომა აქვს, მათ შორის, უცხოენოვანი წიგნებით. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია შემდეგი ელექტრონული რესურსები: “EBSCO; HeinOnline”. აღნიშნულ ბაზებზე სრული წვდომა ეხმარება სტუდენტებს მაქსიმალურად აითვისონ, უცხოენოვანი უახლესი წყაროები და

გამოიყენონ სამაგისტრო ნაშრომის დამუშავების პროცესის განმავლობაში. სტუდენტებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მათ აქვთ კვლევითი სამუშაოს განხორციელების დროს, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სივრცის შეუზღუდავად გამოყენების შესაძლებლობა. უნივერსიტეტმა აღნიშულ ბაზებზე წვდომა შესაბამისი საგრანტო პროგრამის ფარგლებში განახორციელა, მიმდინარეობს და აქტიურად იგეგმება საბიბლიოთკო ელექტრონული რესურსების გამოყენების შესახებ სტატისტიკის წარმოება, როგორც სტუდენტების ისე აკადემიური და მოწვეული პერსონალის. ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი რომელიც ძალიან მოქნილია, ბიბლიოთეკაში წიგნებთან შემხებლობა სტუდენტებისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომია. წიგნების განაწილებას უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის თანამშრომელი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებას ასევე აქვს წვდომა „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ სრულ რესურსზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გაცნობისა და გამოყენების შესაძლებლობით და გააჩნია ელექტრონული წიგნების ფონდი. ასევე აქვს, უახლესი მოდელის პერსონალური კომპიუტერებით აღჭურვილი ოთახები, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად მოწყობილი აუდიტორიები, სამუშაო სივრცე და მოსასვენებელი ოთახები. ასევე, კომფორტული, თანამედროვე ტიპის სასადილო და სველი წერტილები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში. ○ უნივერსიტეტისა და პროგრამის ბიუჯეტი. ○ ინერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი, რომელიც წარმოდგენილია, არ შეიცავს პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის ანაზღაურების მასშტაბის განმსაზღვრელ გრაფას. თუმცა, აღნიშნულ საკითხს აბალენსებს უნივერსიტეტის დამტკიცებული ბიუჯეტი, სადაც მოცემულია შრომის ანაზღაურების მთლიანი საუნივერსიტეტო გრაფა. ბუნებრივია, მოცემული თანხიდან მოხდება სამართლის სამაგისტრო პროგრამის, მათ შორის, აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების დაფინანსება. შესაბამისად, საუნივერსიტეტო რესურსების გათვალისწინებით წარმოდგენილი ბიუჯეტი ეკონომიკურად მიღწევადია და ის დააკმაყოფილებს პროგრამის საჭიროებებს, თუმცა, სასურველია, რომ პროგრამის სრული ბიუჯეტი ცალკე იყოს მისი ყველა სეგმენტით გამოყოფილი, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამის შემოსავლებისა და პროგრამის ხარჯების თანაფარდობით პროგრამის სარგებლიანობის განსაზღვრა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში. ○ უნივერსიტეტისა და პროგრამის ბიუჯეტი. ○ ინერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, რომ პროგრამის სრული ბიუჯეტი ცალკე იყოს მისი ყველა სეგმენტით გამოყოფილი, რათა შესაძლებელი იყოს პროგრამის შემოსავლებისა და პროგრამის ხარჯების თანაფარდობით სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სარგებლიანობის განსაზღვრა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა [redacted] შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	ამისობაშია მოთხოვნებთან	ლად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების

ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შიდა საუნივერსიტეტო შეფასებას უზრუნველყოფს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის და იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები. საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველსაყოფად და მის გასაუმჯობესებლად. თუმცა, პროგრამაში ჩართული პერსონალი ნაკლებად არის ჩართული პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და შეფასების განხორციელების პროცესში, რაც გამოიხატება, მათ შორის იმაში, რომ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ნაკლებად აქვს მონაწილეობა მიღებული აკადემიურ და დამხმარე პერსონალს, ხოლო პროცესი სრულად უზრუნველყოფიალია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, განსაკუთრებით ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფორმატში.

თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის ბოლო თითქმის ერთწლიანი მუშაობის პროცესიდან ნაკლებად იკვეთება ის გარემოება, რომ შიდა ხარისხის სამსახური პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავს თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობისას გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე. აქ საუბარი სწორედ თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის პროცესზეა და არა გარე ხარისხის კონტროლის ისეთ მექანიზმზე როგორც აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტია.

პროგრამის შიდა ხარისხის შეფასება უნდა ეყრდნობოდეს ოთხდონოვან პრინციპს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“. უნივერსიტეტი აღნიშნულ პრინციპს, ზოგადად, მეტ-ნაკლებად, იცავს. თუმცა, სამართლის სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით, გარკვეულწილად, შეინიშნება გადახრები. საკითხი ეხება პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ურთიერთმიმართებას, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმსა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შიდა მონიტორინგს.

პროგრამა ფასდება ორი მიმართულებით: პროგრამის განხორციელების შეფასებისა და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების კუთხით. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის განხორციელების შეფასებას უნივერსიტეტში მოქმედი წესის მიხედვით უზრუნველყოფენ. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამის შეფასება ხდება აპრობირებული შეფასების

არაპირდაპირი მექანიზმებით, რაც მისი (პროგრამის განხორციელების თაობაზე) ნათელი სურათის მიღების ხელშემწყობი ფაქტორია. თუმცა, *პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, ფაქტობრივად, არ არის გაწერილი,* რითიც ვერ ხერხდება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება. პროგრამის მიზნები და პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია, თუმცა, პროგრამის მიზნებსა და პროგრამის სწავლის შედეგებში არსებითი პრობლემები იკვეთება. კერძოდ, პროგრამის მიზნები არ არის დაკონკრეტებულად პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით; ასევე, პროგრამას აქვს სწავლის ბევრი შედეგი, რომელიც დარგობრივი მახასიათებლიდან გამომდინარე, გაერთიანებული ასევე 6 კომპლექსურ შედეგში, თუმცა, პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტული მიზნისა და კონკრეტული შედეგის ურთიერთმიმართებას (ე.წ. რუკას), რათა ის გაზომვადი იყოს და აქედან გამომდინარე, რეალისტური და მიღწევადი. ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგები, ფაქტობრივად, გადმოტანილია სამართლის დარგობრივი მახასიათებლიდან, რაც პროგრამის შიდა შეფასების პროცესის ხარვეზიანობის გამომხატველი შეიძლება იყოს. აღნიშნული მოცემულობა სწორად რომ იქნეს გაანალიზებული, აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ლოგიკურად თანმიმდევრული მონაცემების წინასწარ განსაზღვრულ დროში შეგროვება, შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა, მათი შეფასება და შეფასების შედეგების დადარება ემპირიული კვლევის შედეგად წინასწარ დადგენილ სამიზნე ნიშნულებთან. მიღებული შედეგები აპრიორი განაპირობებს პროგრამის სწავლის შედეგების კრიტიკულ გადახედვას და დღის წესრიგში დააყენებს მისი მოდიფიცირების აუცილებლობას.

პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმი უნივერსიტეტში გაწერილია, თუმცა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ის მექანიზმი, რომელიც ვიზიტის დროს უსდ-ის წარმომადგენლებმა მოგვაწოდეს, სქემატურ დონეზეც კი არსებითი ხარვეზის მატარებელია, რომელიც პროგრამის სწავლის შედეგის სრულფასოვანი და სწორი შეფასების შედეგს ვერ უზრუნველყოფს. მაგალითად, პროგრამის სწავლის შედეგის შეფასების თანამედროვე მოდელი პირდაპირი შეფასების ისეთ მექანიზმს ითვალისწინებს, როგორიც პროგრამის სავალდებული სასწავლო თუ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის ნაწილში შეფასების მეთოდებია, რომელიც პირდაპირ უზრუნველყოფს კონკრეტული კომპონენტის სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურებას. მსგავსი რამ სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიმართ არ არის გამოყენებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საექსპერტო შეფასებისათვის წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მოცემულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების

მექანიზმი, რომელიც ა) სწორად ფორმულირებული არ არის და ბ) ეხება არა სამართლის სამაგისტრო პროგრამას, არამედ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას.

ამასთან ერთად, საინტერესოა გარემოება, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშია წარმოდგენილი, თუმცა მასში გათვალისწინებულია პროგრამის სწავლის შედეგის შეფასების მხოლოდ არაპირდაპირი მექანიზმების რამდენიმე (4) ინდიკატორი, რაც გამომდინარეობს იმ გაწერილი მექანიზმიდან, რომელიც ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმების ფორმატში აქვს უსდ-ს გათვალისწინებული. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, არსებითად გასამიჯნია ერთმანეთისაგან პროგრამის განხორციელების შეფასება და პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. მათ პრინციპული სხვაობა აშორებთ ერთმანეთისაგან.

პროგრამასთან მიმართებით უნდა არსებობდეს ხარისხის შეფასების ისეთი შიდა მექანიზმი, როგორიც გამოკითხვა და რაც მთავარია, გამოკითხვის შედეგების ანალიზი და მათი გამოყენებადობაა. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მსგავსი მონაცემი მოიძებნება, თუმცა გამოკითვის შედეგების ანალიზის მიზნობრივი ჯგუფი სხვა მიმართულებით არის შერჩეული ვიდრე ეს სამართალია: „რესპოდენტებად შეირჩა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური პერსონალი და დამსაქმებლები.“ ბუნებრივია, რელევანტურია სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიმართ არსებული ანალიტიკური ხედვისა და პროცესის უზრუნველყოფა.

შედეგად, შიდა ხარისხის შეფასება სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპის ოთხდონოვანი წრის ციკლურობას ნაკლებად ინარჩუნებს, რაც, მათ შორის, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ურთიერთმიმართებაზე, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმისა და პროგრამის შიდა მონიტორინგის პროცესზე უარყოფითად აისახება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში.
- სამართლის სამაგისტრო პროგრამა.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში.
- ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმები.
- გამოკითხვის შედეგები.
- ინტერვიუირება.

რეკომენდაციები:

სასურველია, რომ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით გაიწეროს იმგვარად, რომ პროგრამის სწავლის შედეგის მიღწევადობის გაზომვა და შეფასება შესაძლებელი გახდეს სრულფასოვნად. აღნიშნული ხელს შეუწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მოდიფიცირების აუცილებლობას და დღის წესრიგში დააყენებს პროგრამის მიზნებისა და პროგრამის სწავლის შედეგების ურთიერთმიმართების განსაზღვრის საჭიროებას.

უსდ-ში ჩატარებული გამოკითხვა, სასურველია, უშუალოდ სამართლის სამაგისტრო პროგრამას ეხებოდეს და არა სხვა პროგრამასა თუ პროგრამებს. ასევე, აღნიშნულის მტკიცებულებად ვერ იქნა გამოყენებული უსდ-ში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების ანალიზი: ზოგადად, უსდ-ში გამოკითხვა ჩატარებულია, მაგრამ მიღებული შედეგების ანალიზი არ არის წარმოდგენილი, რაც, პრაქტიკულად, გამორიცხავს გამოკითხვის შედეგების სამომავლო განვითარებისათვის გამოყენებადობას.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მიმართ გამოიყენება გარე ხარისხის შეფასება, რომლის შედეგებსაც იყენებს პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნულის დასტურია ის, რომ პროგრამა 2018 წელს გაგზავნილ იქნა აკრედიტაციის მიზნით სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში“, რომლის მხრიდან მივლენილ აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ შეფასებულ იქნა პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით. აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ და აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაწერული რეკომენდაციები პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების სახით, ფაქტობრივად, გათვალისწინებულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში ○ გარე ხარისხის შეფასების შედეგები ○ გარე ხარისხის შეფასების შედეგად განხორციელებული ცვლილებები. ○ ინტერვიუირება
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

□ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების *სისტემა,* რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით წარმოებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასების მექანიზმები.

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლის ჩართულობით, უნივერსიტეტში ხორციელდება ჩამოთვლილ დაინტერესებულ პირთა გამოკითხვა და გამოკითხვის შედეგების ანალიზი, თუმცა სამართლის სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით გამოკითხვის შედეგების ანალიზი ნაკლებად არის შესრულებული. დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტები თავიანთ პოზიციას აფიქსირებენ კითხვარების შევსების ფორმით, ხოლო უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აღნიშნული კვლევის შედეგებზე

დაყრდნობით პროგრამის ადმინისტრირებაში ჩართულ პირებს წარუდგენს რეკომენდაციებს (წესი, როგორც უნდა მოქმედებდეს შეფასების რნიშნული მექანიზმი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის მონიტორინგი მოიცავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას პროგრამის განხორციელების პროცესის შეფასებასთან ერთად. პირველი მათგანი ვერ სრულდება მექანიზმის გაუმართაობის გამო. შესაბამისად, რთულია პროგრამის შეფასების მიზნობრიობაზე საუბარი დაინტერესებულ პირთა მხრიდან, როდესაც არ გვაქვს გამოკითხვის შედეგების ანალიზი, რომელიც მიმართული იქნებოდა სამართლის სამაგისტრო პროგრამისკენ. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძვლეზე წარმოდგენილ უნდა იქნეს ის რეკომენდაციები, რომელიც პროგრამის გაუმჯობესების პროცესში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს, მაგალითდ, საფუძვლად დაედება პროგრამის ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას.

ზემოაღნიშნულთან ერთად აუცილებლად აღსანიშნავია ის საკითხი, რომ პროგრამის მონიტორინგის კუთხით არ განხორციელებულა მისი უცხო პროგრამასთან დადარება და მიღებული შედეგების პროგრამის განვითარების მიზნით გამოყენება. სასურველია, რომ სამართლის სამაგისტრო პროგრამა დადარებულ იქნეს უცხო ანალოგიურ პროგრამასთან ე.წ. Bechmarking-ის მეშვეობით, სადაც შერჩეულ იქნება შესაბამისი სპეციფიკაციის მქონე სამართლის სამაგისტრო პროგრამა/პროგრამები, განხორციელდება შედარებითი ანალიზი, ხოლო მიღებული შედეგი იქნება ხარისხის შიდა საფეხურზე განხორციელებული ისეთი კონტროლი, რომელიც ხელს შეუწყობს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუირება

რეკომენდაციები:

სასურველია, რომ პროგრამის შეფასების ისეთი არაპირდაპირი მექანიზმის, როგორიც დაინტერესებულ პირთა გამოკითხვაა, პრაქტიკული გამოყენების შედეგები გაანალიზდეს, ხოლო მიღებული შეფასების შედეგები პროგრამის გაუმჯობესების პროცესისათვის იქნეს გამოყენებული.

სასურველია, რომ სამართლის სამაგისტრო პროგრამა დადარებულ იქნეს უცხო ანალოგიურ პროგრამასთან ე.წ. Bechmarking-ის მეშვეობით, სადაც შერჩეულ იქნება შესაბამისი სპეციფიკაციის მქონე სამართლის სამაგისტრო პროგრამა/პროგრამები, განხორციელდება შედარებითი ანალიზი, ხოლო მიღებული შედეგი იქნება ხარისხის შიდა საფეხურზე

განხორციელებული ისეთი კონტროლი, რომელიც ხელს შეუწყობს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამის განვითარების მიზნით, უმჯობესი იქნება, თუ განხორციელდება მისი განმავითარებელი კოლეგიალური შეფასება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ▮ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სამართლის სამაგისტრო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 54

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ვახტანგ ჟვანია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

გიორგი მახარობლიშვილი

თათია უბერი